



რენი კონკის

၂၀၂၄ ဧပြီ

თბილისის სასელიარო აკადემიისა და სამინისტროს გაზეთი

„და ანგელოზსა ფილადელფიისა ეკლესიისასა
მიუწერეთ: ამას იტყვას წმიდაად და ჰემბარიტი,
რომელსა აქუს კლიტე დავითისი, რომელი-იგი
განალებს, და არავინ დაპკშას, გარნა განმღებელ-
ლმან მან, და არავინ განალოს დაქშელი იგი.“

(გამოცხ. 3.7)



ერის საქონლი საგანძვროს ახალი ანიგვარებოვანი შენაქვენი

ერთეულობის კატეგორიების – „ერავალერვანი გიგლია [BIBLIA POLYGLOTTA] - ვსალენი
[დავითი]“ და „ერთლეაღიძეგელი ექლესის ძირი კართველის სწორიობები“ –
არაზოგადი თემისის განვითარების საკრებულო

237900 07-2



ნმინდა ქეთევან დემოფლის მოწამებრივი აღსასრულიდან 400 ნლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფირმაცია

୧୩୭୮୦୯ ୧୨-୩

କେବଳ ମାତ୍ର

გვერდი გვ-5

საქართველოს მთავრობის

გვერდი მე-8-10

ଶ୍ରୀମତୀ ପାତ୍ନୀ କୁମାରୀ ଦେବିଙ୍କିର ପାତ୍ରମାତ୍ରା

১৩৭৮০ ১১-১২

გვერდი გე-12



სტატუსი
გერეთან
დაბრუნება
22 წლის
გეგმვა

გვერდი ბე-7



მარტინ ლინგვისტი საგანძვროს ახალი ანთელექტოლოგიური გენერაცია

24 ოქტომბერს ქალაქ თბილისის
საკურებულოს თამარ მეფის დარბაზში
გაიმართა უწმინდესისა და უნეტარე-
სის, სრულიად საქართველოს კათო-
ლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის დაბადე-
ბიდან 92-ე და აღსაყდრებიდან 47-ე
წლისთავისადმი მიძღვნილი საუბოლეო
ღონისძიება, რომელზეც წარმოდგენილი
იყო საეკლესიო-ეროვნული მნიშვნელობის
ორი მონუმენტური ბუბლიკაცია: „მრა-
ვალენოვანი ბიბლია [Biblia Polyglotta] -
ფსალმუნი [დავითნი]“ და „მარ-
თლმადიდებელი ეკლესის დიდნი
კურთხევანი სწოლიობრით“.

შეკრებილოთ მისასალმებელი
სიტყვით მიმართა თბილისის სა-
სულიერო აკადემიასა და სემი-
ნარიის რექტორმა, თეოლოგიის,
ფილოლოგიისა და პილიტიკის
მეცნიერებათა დოქტორმა, პრო-
ფესორმა, მართლმადიდებელი
ეკლესიის პროტოპრესვიტერმა
გიორგი ზევიადაძემ. მან ისაუ-
ბრა სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის, ილია
მეორის უდიდეს დამსახურებაზე
ქართული სახელმწიფოს, საქა-
რთველოს მართლმადიდებელი
ეკლესიის, ქართველი ხალხისა
და მსოფლიო მართლმადიდე-
ბელი ეკლესიის წინაშე. აღნიშ-
ნული ღონისძიების ფარგლებში,
პროტოპრესვიტერმა გიორგი
ზევიადაძემ საზოგადოებას წა-
რუდებინა თბილისის სასულიერო
აკადემიასა და სემინარიაში განხ-
ორვალობზომი უმნიშვნელოვა-

ნესი პუბლიკაციები - „მრავალენოვანი ბიბლია [Biblia Polyglotta] - ფსალმების დაფინიტი“ , „მართლმადიდებელი ეკლესის დიდი კურთხევანი სკოლიოებით“ - და ისაუბრა თითოეული მათგანის განსაკუთრებულ სამეცნიერო-საღვთისმ-ეტყველო და ეროვნულ მნიშვნელობაზე. მან გულითადი მაღლობა გადაუხადა ღონისძიების მონაწილეებს მობრძანებისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ გამოხატული უდიდესი პატივისცემისთვის. პროტოპრესულტერმა გიორგი ზვიადაძემ უდიდესი პატივისცემა და მაღლიერება გამოხატულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი კობახიძის მიმართ, რომლის თანადგომითა და მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა ამ უნიკალური, ეროვნული მნიშვნელობის ძეგლების გამოცემა. მაღლიერება გამოხატა იმ განსაკუთრებული დახმარებული და მაღლიერებისთვის, რაც ამ უმნიშვნელოვანესი პუბლიკაციის განსახორციელებლად გასწია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის ყოფილმა მინისტრმა, ბატონება გიორგი ამილაძეარმა.

გამომსვლელთა შორის იყვნენ - საქა-
რთველოს პრემიერ-მთხისტრი ირაკლი
კობახიძე, ქალაქ თბილისის საკურებუ-
ლოს თავმჯდომარე გიორგი ტეგემალაძე,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
როინ მეტრეველი, წმინდა საყდრისი
დესპანი, მისი აღმატებულება ანტე-

ଓটଖିରି, ଓସରାଜ୍ୟଲିସ ସାଗାନ୍ଧେବଳ ଦା ଶର୍ମୀ
ଲ୍ଲୁପଲ୍ଲେବିରାଣି ଜ୍ଞାନି ସାକ୍ଷାତ୍କର୍ତ୍ତଵାଲିଶି, ମିଳାଇ
ଅଭିଭୂତରେ ପାଇବା କାହାର କ୍ଷେତ୍ରରେ ଯେତେବେଳେ ମେହିଫାରିଦାର
କ୍ଷିତିତ୍ତରିଣିରେ ଦା ସାହିତ୍ୟରିକ ମିଶରନପାଲିତ
ଦାନିଙ୍ଗଲି (ଦାତ୍ତାଙ୍ଗଶ୍ଵିଲି).

თითოეულმა მათგანმა უდიდესი სიყვარული, პატივისცემა და მადლიერება გამოხატა სრულიად საქართველო კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორი სადმი და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს თბილისის სასულიერო

გია“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ

პრემიერ-მინისტრმა მაღლობა გადა-
უხადა მამა გიორგი ზეგადაძეს, ედიშერ
ჰელიძეს და ყველა ადამიანს, ვინც წვ-
ლილი შეიტანა პუბლიკუციების მოშზა-
დებასა და გამოცემაში.

თბილისის სასულეირო აკადემიისა
და სემინარიის რექტორის თანაშემ-
წემ საღვთისმეტყველო მეცნიერებათა
საკითხებში, ფილოლოგიის მეცნიერება-
თა დოქტორობა, თეოლოგიის დოქტორ-

„ფსალმუნთა“ უაღრესი ქართული
თარგმანის ეს გამოცემა თავისითავად
გულისხმობს დავით წინასწარმეტყველის
ამ უდიდესი წიგნის ერთ-ერთ
თი ყველაზე არქაული თარგ
მანის მიწოდებას მსოფლიო
სამეცნიერო საზოგადოების
სთვის. ამავე გამოცემაში,
მესამე პარალელურ სკეტად
არის წარმოდგენილი, აგრეთვე
„ფსალმუნთა“ წმ. გიორგი
მთაწმინდელისეული თარგმან
რედაქცია, - ყველა მონაცემის
მიხედვით, სრულად დადგე
ნილი. აღნიშნული თარგმან
რედაქცია ჰქომარიტად გონ
ებამუწვდომელი ღირსებითაა
შემკული და სწორედ ამი
ტომ, უცვლელად არის დამ
კვიდრებული საქართველოს
მართლმადიდებელი ეკლესიის
ღიტურგიკულ წიაღში.

მეორე პუბლიკაციის - „მართლმადიდებელი ეკლესიის დიდნი კურთხევანი სქოლიოებით“ - მიმოხილვისას ბატონმა ედიშერმა აღნიშნა, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის ღიურგიული ფუძე - ესაა შეიდი ცხოველმყოფელი საეკლესიო საიდუმლოს მღვდელმოქმედება, რა-საც წერილობითი სახით შემოკრებს უწმინდესი საღვთისმსახურო წიგნი - „კურთხევანი“.

ნაშრომს აქვს, ამავე დროს, განსა-
კუთრებული ეროვნული მნიშვნელობა,
ვინაიდან მასში გამოქვეყნებული მასალა
მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან
მეცხრამეტე საუკუნებმდე ანუ, არსები-
თად, ქართველი ერის მთელ სულიერ
ისტორიას, რის გამოც, საკუთრივ
ისტორიული ასპექტით, აღნიშვნული
ნაშრომი ფასდაუდებელი წყაროა
საქართველოს ქრისტიანული წარ-
სულის სიღრმისეული შესწავლისთ-
ვის.

ამგვარი პუბლიკაცია არ განხს-
ორციელებულა არც ერთ ენაზე
იმ მიზეზის გამო, რომ ნაშრომში
შემოკრებილი კურთხევითი ძე-
გლების მნიშვნელოვანი ნაწილი
(განსაკუთრებით ის ნაწილი, რო-
მელიც მეტაურე-მეტე საუკუნეებს



ଓঁযাদ্বৈতিনিসা লাভ সেমিনাৰিস রেক্টোৱৰ
প্ৰিমিয়াম প্ৰেসেশনেল প্ৰিণ্টিং গুৰুৱৰ্গি চৰকাৰী একাডেমী
গুৰুৱৰ্গি লেখাৰ লেখকৰ মধ্যে মুক্তি প্ৰদাৰ মাসিকতা
ভূজুৰি লাভ প্ৰিণ্টিং প্ৰিমিয়াম প্ৰেসেশনেল প্ৰিণ্টিং সেমিনাৰিস
লেখনীসেছিবোৰ লেখকৰ মধ্যে মুক্তি প্ৰদাৰ মাসিকতা

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა
ირაკლი კობახიძემ ხაზგასმით აღნიშნა
რომ თბილისის სასულიერო აკადემიასა
და სემინარიაში მომზადებული ამ პუბ-
ლიკაციების გამოცემა მნიშვნელოვანია
არა მხოლოდ ქართული ეკლესიის, მეც-
ნიერებისა და საზოგადოებისათვის, არა
ამედ, ზოგადად, ქრისტიანული სამყარო
სათვის.

„დღევანდელი ღონისძიება ჩვენი

ქართველი უწმინდესის, ილია II-ის აღსაყდობიდან 47-ე და დაბადებიდან 92-ე წლისთვის ეძღვნება. მისი უწმინდესობის მოღვაწეობაში, განსაკუთრებულად აღგილი უკავია ქართულ სასულიერო განათლებასა და მეცნიერებაზე ზრუნვას. სწორედ უწმინდესის სახელთან, მის უდიდეს პირად ძალის მეგასთან არის დაკავშირებული ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში სემინარიებისა და ბეჭდების დარსება, სა-

სულიერო სწავლების, მწიგნობრობისა
და მეცნიერების უპრეცედენტო აღ-
მავლობა ჩვენს ქვეყანაში. პუბლიკა-
ციები, რომლებიც დღეიდან უმნიშ-
ვნებლოვანეს შენაძენად იქცევა ჩვენა-
საზოგადოებისთვის, ამ დიდი ძალისს
მევის კიდევ ერთი თვალსაჩინო შედე-



► გერე გვარდიან

ექუთვნის) დაცულია მხოლოდ ქართულ ენაზე და, შესაბამისად, სწორედ ამ პუბლიკაციით გაიცნობს მას მსოფლიო მეცნიერება და კულტურა. ამასთან, აღნიშნული ნაწილი (დაცული მხოლოდ ქართულ ენაზე) გულისხმობს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის დასაბამის, იერუსალიმურ ეპისკოპის ანუ ეპოქას, რომელიც იწყება პირველი საუკუნიდან და წარმოჩნდება უშუალო მექანიზრედ თავად მაცხოვისა და ფუნქციული მღვდელმოქმედებითი მასტერებისა. კვლავ ხაზს გავუსამთ, რომ აღნიშნული უადრესი და უმნიშვნელოვანესი ეპოქა თავისი თავდაპირველი სახით დაცულია მხოლოდ ქართულ ხელნაწერებში, რომელთა პუბლიკაციასაც ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი, ეს გარემოება კი ხსენებულ ნაშრომს სრულიად განსაკუთრებული ხდის.

ბატონმა ედიშერმა თავის გამოსულაში უდიდესი მადლიერება გამოხატა უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მიმართ, ვისი ლოცვა-კურთხევითაც განხორციელდა აღნიშნული

გამოცემები და, ამასთანავე, განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი კობახიძეს ამ უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის პროექტის განხორციელების საქმეში გაწეული დახმარებისთვის.

ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები - ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), გორისა და აღენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზაგა), წალენის ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია) და სხვა სასულიერო ბირები; საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რაბაზ ხუროძე; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ვლადიმერ პაპავა; უმაღლესი სასწავლებლის რექტორები; აკადემიკოსები; პროფესიონალ-მასწავლებები; დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები - დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი

ელჩი - გარეთ ედვარდ ვორდი; ღიეტუვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი - დარიუს ვიტკაუსკასი; ესტონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი - მარგე მარდისალუ-კაბარი; ავსტრიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი - რობერტ გერშნერი და სხვანი.

შემაჯამებელ სიტყვაში თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპატესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ მობრძანებისთვის მადლობა გადაუხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი კაბახიძეს, საქართველოს უზნაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, ნინო ქადაგიძეს, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერებს, არჩილ თალაკვაძესა და ნინო წილაშვილს, მღვდელმთავრებს, სასულიერო ბირებს, პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეებს, პარლამენტის წევრებსა და მინისტრთა კაბინეტის წარმომადგენლებს, საკრებულოს თავმჯდომარეს, გიორგი ტუქმალაძეს, განათლების ყოფილ მინისტრებს, - მიხეილ ჩხენკველსა და გიორგი ამილახვარს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიური წრეების წარ-

მომადგენლებს, უმაღლესი სასწავლებლის რექტორებს, კათოლიკოს-პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელს, საქართველოს კოფილ ელჩს ისრაელის სახელმწიფოში დაშა უფანის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესიონალურების. აღნიშნა, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ ღონისძიებაში არის უდიდესი პატივისცემის გამოხატულება საქართველოს პატრიარქის, ილია მეორეს, საქართველოს წმინდა ეკლესიისა და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მიმართ.

საზემო ღონისძიება გახსნა თბილისის სასულიერო სემინარიის მგალობელთა გუნდმდება დაშა ზალაშვილის ხელმძღვანელობით. შესრულდა ქართლ-კახური საგალიშელი „შენ ხარ ვენახ“: ღონისძიების დასასრულს ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა (ხელმძღვანელი - სეიმონ ჯანგულაშვილი) შესრულდა შეა საუკუნეების საგალობელი „წმინდაო ღმერთო“, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორეს საგალობელი „კრის ელეისო“ და ქართლ-კახური „მრავალუამიერი“. და

წმინდა ქეთევან ღეორგილის მოწამებრივი აღსასრული 400 წლისთავისაღმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

23 სექტემბერს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, წმინდა ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრულიდან 400 წლისთავისაღმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის რექტორმა, თეოლოგიის, ფილოლოგიისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროტოპატესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ მისი სიმტკიცესა და თავგანწირვას ჩვენი ქვეყნისთვის.

საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ, ისტორიის მეცნიერებათა და თეოლოგიის დოქტორმა, პროფესიონალ-მასწავლებლის ვარდოსანიძემ ვრცლად ისაუბრა 1624 წლის 13 სექტემბერს (ძვ. სტილით) შერაზმი ნანამები დედოფლის ღვანლასა და მოწამებრივი თავდადების სახელმწიფო უნივერსიტეტი და სარმანულობრივი შინაარსზე და განიხილა ქართულ და უცხოურ წყაროებსა და ისტორიოგრაფიაში დაცული საგულისხმო ცნობებით საზოგადოების წინაშე.



წმინდა მოწამე დედოფლის შესახებ.

ქართული ენისა და ლიტერატურული კათედრის გამგემ, პროფესიონალ-მასწავლებლის სახეზე ქართულ მწერლობაში.

წმინდა დაცულიაში ქეთევან დედოფლის აღსასრული და საკათედრო საბჭოს წარმომადგენლების და მიმოდებულების სამეცნიერო კონფერენცია, კრის ელეისო „კრის ელეისო“ და ქართლ-კახური „მრავალუამიერი“. და

მოხსენებით წარდგა პროფესიონალ-მასწავლებლის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ელდარ მარაშვილი. კონფერენციას ესწრებოდნენ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სამეცნიერო საბჭოს წევრები, პედაგოგები, სტუდენტები, მოწვევლის სატუმრები.

3 ოქტომბერს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართება ამავეველის უფანისა და რეკრუტირების ეროვნული მარაზმა ამორტივით სამსახურის მიერ დასმულ შეკითხვებს.

საზოგადო განვითარების სამსახური



მრავალგვილიანობა – ფუძე ქვეყნის მომავლისა

**ପରିବାରଙ୍ଗାଙ୍କ - ଏଣଟି ଏହା ଦେଖାଯା ମଧ୍ୟନାରୀଙ୍କ ଉତ୍ସବ ଦେଇ ଶାକାଲ୍ପଣୀ
କାଳୁକାଳିରେବେ କୁରୁକ୍ଷେତ୍ର ମେଲେରେ ଏ ଘୋଷଣା!**

2002 წელს 16 დღის ასაკით პირველად თბილისის საცხოვრის
აკადემიის პრისტინული განიერებაზე ფარგლების სტუდენტი გახდა.

მათი ღვარი მდგრადარეობის გამო სასიცლებლის დამთავრება ვე
შეალო და აცლა, გაორებ, 22 ნოის შემდეგ იმავე ზაკულტების, კვლავ
ჩააბარა გამოცდები დონა უკვე თართული უკილისამ, რომელთაგან რვე
პატრიარქის ცალკლია.

დეკანოზ დაცით მასშის ღოჯასი აპერატური ღობის სტუდენტია. რასერანის
უფროსი გვილი იღონა — თანილის ივანე ხავასიძევილის სახელობას
სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ზეკულტეტის სენატორის, თავმდებ
— ჰექტოპურ უნივერსიტეტში აღმაისერენულ მაცნეობებას ეყველება, გარიბაძე
— გვილიანის სახელობის სამართლის უნივერსიტეტის სამკურნალო
ზეკულტეტის პირველებულებია.

ვის მთავარი იყო ყოფილიყო კარგი მშობელი
და ამაზე წინ სხვას არაფერს აყენებდა.

დროთა განმავლობაში ბავშვების გაზრდასთან ერთად გაუწინდა სურვილი, რომ გორც საკუთარი თავისითვის, ისე შეიღების სთვის ძალზე სასარგებლო იქნებოდა, რომ დაეწყო საკუთარ პიროვნულ განვითარებაზე ზრუნვა და მხოლოდ დიასახლისობისა არ შემოფარგლულიყო. მან მიზნად დაისახა პროფესიული განვითარება და დიპლომის აღებაც.

მოგეხსენებათ, ცხოვრება სწორება, ზოვანი არ არის და, შესაბამისად, მის ცხოვრებაშიც იყო რთული მომენტები რომელსაც ისევ და ისევ უფლისადმი რწევა

ბულება და თბილ და ნათელ ატმოსფეროში
ცხოვრება.

საზოგადოდ, სიყვარული მით უფრო
ნამდვილი და ხანგრძლივია, რაც მეტია
მასში პიროვნული მუხტი. აյ ძალზე სა-
ონტერესოა ქალბატონი რესულანის აზრი
მეუღლების პიროვნულ ერთობასთან და-
კავშირებით: „მეუღლების სულიერ ერთო-
ბას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს
შეილთა სწორად აღზრდის სფეროში. 22-წლიანმა
ცოლ-ქმრობამ ერთ მთლიანობად გვაჟცია,
გვაქვს საერთო მიზნები, სურვილები, მის-
წრაფებები. როცა მშობლები მშვიდობაანად
და სიყვარულით თანაცხოვრობენ, ბავშვე-
ბიც სულიერ პარმონიაში არიან. მაქსიმალ-
ურად ვცდილობთ, რომ ბავშვებმა მშვიდ და
სიყვარულით სავსე გარემოში იცხოვრონ.“

დარწმუნებული ვარ, არაფერია იმაზე
საინტერესო და სასიხარულო, როდესაც
ერთ ოჯახში 11 განსხვავებული სულიერი
სამყაროს მატარებელი ბავშვი ცხოვრობს
და სახლს გამუდმებით სიცოცხლით ავსებს.
ჩვენმა რესპონდენტმაც დიდი სიხარულით
გაგვითარა საკუთარი ცხოვრების სტილი
ამ საკითხთან დაკავშირებით: „მრავალშ-
ვილიანი დედის ცხოვრება ზოგს ძალიან

სტატუსი განვითარებული და მოვალეობის 22 ცლის გაედინება

დღევანდელ დღეს, როდესაც სხვადასხვა იდეოლოგიის გავლენით შეიძლება საზოგადოებრივი დაკავშირებით ასე შეცვლილია საზოგადოების მენტალობა, ძნელი წარმოსადგენი და გასაკვირიც კია იმის გაგება, რომ შეიძლება ვინმეს ჰყავდეს 11 შვილი.

ମୁକ୍ତେରାଙ୍ଗାର ମିଳା, ରନ୍ଧା
ତାଙ୍କମେଫରିଣ୍ଟ ପ୍ରେସ୍‌ରେବିସ କ୍ଷତି-
ଲୀ ମେତ୍ରାର କ୍ରମଭୂରତ୍ୟୁଲି ଏବଂ
ଲେଖାଦାଲ୍କ୍ଷୟ କ୍ରୂତଶିତ ଗାନ୍ଧିଆର୍ଜ୍-
ନ୍ତ୍ରୁଲୋହ, ଶାଖାଗାନ୍ଧିବୀର ଉତ୍ତରାଜ୍-
ତ୍ତ୍ଵଲୋକାଶ ଲାଲାର ଆଜ୍ଞାର ଶ୍ଵିଲେବୀର
ଯୁଗିଲୋକ ଶ୍ରୀରାମିଲୋହ. ମାତ୍ର ମେଳନ୍ତର କିମ୍ବା
ଅନ୍ତରେ ଶ୍ରୀମତ୍ତ୍ବେଶ୍ଵାରୀ, 1 ଶ୍ଵିଲୋ
କ୍ଷୁପତ. ଅମାଶ୍ଵ ଆମାରତିଲ୍ଲବ୍ଦୀ ନିମ ମି-
ହେଠିତ, ରନ୍ଧା ଶ୍ରୀରାମ ମାତ୍ର ଗର୍ବାଦ୍ୟେତ,
ଲାନ୍ତୁରୁକାର ପିରମିଥିର ପ୍ରେଲାଭ୍ୟାରୀ
କ୍ଷେତ୍ରନ୍ଦିରେ ଏବଂ ଏକ ମର୍ମିନିମିଳ କ୍ରମଭୂରତ-
ତୀରୀ ଏବଂ ମାତ୍ରରୀନାଲ୍ଲଭ୍ରାନ୍ତ କ୍ଷେତ୍ରିକ୍ଷ-
ଲେବୀର ଦେଇମାଥିଶ୍ଵିଲୋକିତ୍ୱିରୁ ଗା-
ନାନିଲେବ୍ଦା. ରା ତ୍ରୈମା ମୁନ୍ଦା, ପୁଣ୍ୟତାନ୍ତର
ଶ୍ରେଷ୍ଠତିତ୍ୱେଶ୍ଵରୀ, ରନ୍ଧାରେଶ୍ଵର ତାଙ୍କାର
ଶ୍ରେଷ୍ଠଶର୍ମୀବୀରାର ମଶିଲ୍ଲବୀର ମେବିନ୍-
ଦାନ ମେଶାରୀ ଏବଂ ମର୍ମିନିମିଳ କ୍ରମଭୂରତୀର
ଦ୍ୱାରା ପିରମିଥିରାରେ, ରନ୍ଧାରେ ଲାନ୍ତୁରୁକାର
ମାତ୍ର ଶ୍ଵିଲୋକ ଦେଇଲେ ଶ୍ରୀରାମିଲୋହ
ଆଜ୍ଞାର କ୍ଷୁପତ୍ୱରେ ଏବଂ ଏକ ମଧ୍ୟ ଏବଂ
ମାର୍ତ୍ତିମା.

ରା ତ୍ରୟୀମା ଉନ୍ନଦା, ଓଜ୍ଞାଶିଥି, ଇନ୍ଦ୍ରେଶା ଏବଂ ଶୈଵରି
ଦ୍ୱାଗୁପ୍ତିତ ସାହସ୍ର ତୟ ଅର୍ତ୍ତା, ଉମନିଶ୍ଵର୍ଣ୍ଣେଲୋଗାନ୍ଧେଶ୍ଵର
ରାମଲି ତ୍ରୟାମରଣିକୁଳା ଏବଂ ସିମ୍ବିଗୁଡ଼ିଳି ଶେନାର-
ହିନ୍ଦୁନ୍ଦେଶାଶି ଆଜିବୁ ମହିନ୍ଦଲ୍ଲେଖିଲି ତ୍ରୟାମରଣିକୁଳ ଏକ-
ତଥାବତିରେ ଏହି ଗାନ୍ଧାରମନ୍ୟୁଗେତ୍ରି ଯାଏଫିରିଲା, ରାମ
ମାତ୍ରା ଉରତୋରିତରିତରେ ଯୁଗର ବାଙ୍ଗରଦିଲ୍ଲୀତି ଏବଂ
କ୍ଷେତ୍ରମାରିଥିଲା. ମାତ୍ର ଉନ୍ନଦା ଗାରିନ୍ଦରେ ତାରିଖିତ
କ୍ଷେତ୍ରରେହିଲେଯୁଗି କ୍ଷେତ୍ରର ଲାଭକୁଳେହେବି
ଅଜାଧାରି କ୍ଷେତ୍ରରେହିଲା ଅତିକରିତିରେହିଲା.

მხოლოდ ფუნქციურ ოჯახში და მშვიდ გარემოშია შესაძლებელი ჯანსაღი პიროვნების აღზრდა. ქაოსისა და დაძაბულობით სავსე გარემოში პიროვნება იღებს უამრავ ფსიქიურ ტრამვას, ვეღარ ახდენს მომავალში საკუთარი თავის სხვადასხვა სფეროში სრულად და მთელი პოტენციალით რეალიზებას.

საბეჭდინეროდ, დღესაც არსებობენ სწორად მოაზროვნე ადამიანები, რომელიც წმინდა ქორწინებით ცხოვრობენ და ღმერთის კანონზომიერებას არიან მინდობილნი. ამ პულლიკაციით სწორედ ასეთი ქალ-



ანა, ნინო, გიორგი, ქეთევანი, შიო და დამია
ანე. მასთან შეხვედრის დროს იგრძნობა სა-
ოცარი სითბო, სინაზე და სიყვარულით სავსე-
ენერგეტიკა. პირადად ძალზე მოხარულ-
ვარ, რომ მომეცა მასთან გასაუბრების შეს-
აძლებლობა და დიდი სიამოვნებით გაგიზია-
რებოთ მისი ცხოვრების მოკლე ოსტორისას.

ქალბატონმა რუსუდანმა დაამთავრება
თბილისის სასულიერო სემინარიის ქრისტინა
ტირანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, მაგრა
გრამ გარკვეული მიზეზების გამო ვებარკო
მოახერხა სადიპლომო თემაზე მუშაობა და
შესაბამისად, დიპლომის აღება. ამ ფაქტის
ის ყოველთვის განიცდიდა და მთავარი
მიზეზი სასულიერო აკადემიაში მისი და
პრუნებისა სწორედ ისაა, რომ სრულყო
თავისი ცოდნა და მიიღოს ამის დამადას
ტურებელი მოწმობაც. მეორე კურსზე ყოფილ
ნისას შეეძინა პირველი შვილი, შემდეგ
ერთი წლით აკადემიური შვებულების აღება
მოუწია, მაგრამ ისევ დაპრუნდა სასწავლებელი.

ელში. საბოლოოდ კი სწავლის დამთავრების
დროისთვის უკვე ოთხი შვილის დედა გახლ
დათ. ოჯახი და სემინარის პედაგოგ-მასწავ
ლებლები მხარში ედგნენ და ცდილობდნენ
მისთვის კომფორტული პირობების შექმნას
მაგრამ, აღმოჩნდა, რომ მთელი ამ დროის
განმავლობაში თაქ მხოლოდ დედად აღიქ
ვამდა და სხვა არაფერზე ფიქრობდა. მისთვის

ისევ შვილიერების თემას და იმ გარე მოებებს დაუყარუნდეთ, რომელთაც მის სცეს სურვილი, რომ მრავალშვილანო დედა ყოფილიყო. აյ ზუსტად გთვაზობთ მის ნაამბობს: „ალპათ ძალიან ბევრი ფაქტორია, რომელთაც მოგვცეს 11 შვილი ყოლის ძალა და სურვილი. პირველ რიგში ეს ჩევნთვის ღვთის უდიდესი წყალობაა, რომელიც მეც და ჩემს მეუღლესაც ბედნიერებას გვანიჭებს. იმდენად დიდ სიხარული მოაქვს ყოველ პატარას, იმდენად დიდი წყალობა მოპყვება ხოლმე შემდეგ ღვთისგანაც როდესაც ამ ყველაფერს აღიქვამ, ხვდებო რომ ბედნიერება სწორედ შვილიერებაშა ქალი შვილთა შობით ცხონდება, უთქვამი და, ალპათ, ჩემთვის ცხონებისკენ მიმავალი გზაცაა. თუმცა, რასაც კორველია, მხოლოდ შობა არ კმარა, შევსოთხოვ უფალს, შემაძლებინოს აღვზარდო ისინი ქუშმარიტ ქრისტიანით - თანამდებობა არ მარტივია“

ტიახებად - ლირსულ ადაბიაზებად.”
პირადად ჩემთვის ძალიან სასამოცნო
მოსასმენი და წარმოსადგენი იყო, როდე
საც რუსუდანმა თქვა, რომ ის მეუღლისა
და შვილების ინიციატივით დადის ხოლმე
თეატრში და ყველა საინტერესო ღონისძიე
ბას მთელი ოჯახი ერთად ესწრება. ვფიქრობ
მშვენიერია რეალობასთან ასეთი დამოკიდე

ნება სული და, მართლაც, უარავი
საოჯახო საქმით როგორი დაღლილიც არ
უნდა იყო, მათი ერთხელ ნათქვამი - მი-
ყვარხარ, „მთელ დახარველ ენერგიას უკან
გიბრუნებს.“

კითხვაზე, თუ რა იყო მისითვის ყველაზე დიდი სიხარულის და ბედნიერების მომნიჭე- ბელი გვიპასუხა, რომ: „ჩვენთვის ყველაზე დიდი დღესასწაული და ლაბაზად მოსაგო- ნარი ის დღებია, როცა ახალი პატარა შემოგვყავს სახლში. სამშობიაროდან გამოს- ვლისას ისეთი ბედნიერები, აღფრთვივანებ- ულები გვხვდებიან უფროსი ბავშვები, ვერ შევადრი ამას ვერც ერთ სხვა რამით გახ- არებას. სულ ვამბობ ხოლმე, ამ შეხვედრის წამიპირის საკუთარო მოიხსნა მოძია“

ნაძებისთვის ყველა ფერი მიღორს ძეგლი.

დამეთანახმებით, ამ წერილში მონა-
თხრობი ამბავი გასაოცარია. მინდა იმის
იმედი ვიქონიო, რომ ქართველები ავირჩევთ
სწორ ცხოვრებისეულ გზას და ვიცხოვრებთ
ჭეშმარიტი, ნამდვილი ცხოვრების წესით და
არ დავიკარგებთ სხვადასხვა იდეოლოგიის
მიერ თავს მოხვავთ პარტიაში.

ଓର୍କାନ୍ଦା ଶିବପାତ୍ରି,
କ୍ରିସ୍ତିଆନ୍ଦିଲ୍ଲି ଯୁଗମୂଳରେ
ଜ୍ଞାନପୁଣ୍ୟତ୍ଵରେ || ଜ୍ଞାନରେ ସତ୍ୟରେ



საქართველოს მთავრობის მინისტრი

სამოთხეში აღსრულებული ცოდვით დაცემა და ეკლასიდის
მაგათა შესაბამისი ეგზეგეტიკა (დაპ. 3)

განვართოთ ეს უპირველესად შევნიშნავთ, რომ გველის შეფასებისას სეპტემბერინ ტაში გამოყენებულია ტერმინი «ფრონტაცია». იმავე სიტყვას ბიძლიის ძველ ქართულ რედაქციებში ორი შესატყვისი ეძებნება: «უგონიერესი» და «უცნობილესი»; ხოლო მასონ რეტიულ ბიბლიაში გამოყენებულია ტერმინი «უცბიერესი».

წმინდა ეფრემ ასურის თანახმად, გველთან დაკავშირებული ეპრაულებოვანი მითით ბა, რომ ის უცბიერესი იყო, გულისხმობს იმას, რომ დანარჩენ უტყვია არსებებს გველთავისი მდგომარეობით აღემატებოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, აღნიშნული ცნობა სულაც არ ნიშნავს მის გათანაბრებას ადამინთან. მართალი, ის ცბიერებით სჯობნიდასხვებს, მაგრამ არ ჰქონდა რა გონება, ცხადია, არც ადამიანურ სიბრძნეს ფლობდა ადამი გველზე უპირატესი იყო შექმნის წესით (იგულისხმება ადამიანისათვის ბოძებულ საღმრთო ხატისებრიობა, რასაც არ ფლობს (ცხოველური სამყარო), სულით, გონებით თუ დიდებით, რაც მისი საცხოვრებელი ადგილოთაც დასტურდება. ადამი ყველა უტყვა არსებაზე აღმატებულების გამო იქნა მათ მეუფედ დადგენილი და ხსენებული მდგომარეობის მიზეზით ყველა მათგანს მიანიჭა სახელი. როგორც მოსეს პირის ხილვა არ ძალუძღავთ ისრაელიანებს, ვერც ადამის სახეს შესცეკროდნენ ცხოველები, როდესაც ის სახელებს განუკუთვნებდა მათ, და პირვედადრეკილი იდგნენ ჩვენი პირველმამის ნინაშე აღნიშნულის შემდეგ მოსე მოგვითხრობს, თუ როგორ მიუახლოვდა გველი ევას და დიალოგი გამართა მასთან. გველის საუბარში, შესაძლოა, მისი სისინი იგულისხმება, რისა გაგების უნარსაც ფლობდა ადამი, ან მასში სატანა მეტყველებდა აზრისმიერი ზრახვებით ყოველ შემთხვევაში გამომცდელი სიტყვა ვერაფერს დააკლებდა ჩვენს პირველმშობლებს მათი ნება რომ არ დაპერვებებარებოდა გამომცდელის სურვილს. თუნდაც არ მისულიყო გამომცდელი, თავად ხე თავისი სილამაზით სამოთხის მკვიდრებში გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მაინც ალძრავდა ბრძოლას. ამას ისიც ცხადყოფს, რომ ხის სილამაზით და ნაყოფთა მშვენიერებით მოიხიბლა ევა და არა მოსმენილი სიტყვებით. ამასთან, ღმერთმა ადამი არც მოკვდავი შექმნა და არც უკვდავი, რათა საკუთარი არჩევანით მოეპოვებინა ორი მდგომარეობიდან მისთვის სასურველი. შემოქმედმა სიცოცხლის ხე ადამი თვალთაგან დაფარა, რომ თავისი სილამაზით არ მოეხიბლა და ბრძოლა არ ალძრა კაცობრიობის პირველმშობლებში; ხოლო მეორე მიზეზი ისაა, რომ უხილავის მიერ ბოძებული მცნების დასამარხად თვალთა წინაშე მდებარე ხილული და ჯილდოს სახით ბოძებული სიცოცხლის ხე, როგორც უკვე მოპოვებული, დამაბრკოლებელი არ გამხდარიყო მცნების აღსრულების საქმეში. გველი შიშის გამო ვერ მივიდა ადამთან. პირველმამის მაგივრად კევას მანამ მიეახლა, სანამ ის სამოთხეში მდებარე როგორი ბის ნაყოფი დააგემოვნებდა, რის მიზეზიც არა მარხვა იყო, არამედ ევას ახალშექმნილობა. გველა არ აეკრძალა ასეთი მყისიერი თავდასხმა, ვინაიდან ეს მისთვის წესით წამგებანი უნდა ყოფილიყო, ხოლო ჩვენი პირველდედისათვის - მომგებანი, რადგან ახალშექმნილობის გამო ჯერაც შიშილის აღუძოველობას არც აკრძალული ხის მიმართ გულისითქმის სურვილი არ უნდა გამოეწვია. ამიტომაც რადგან ევა შიშილს არ განიცდიდა და შესაბამის ხე აღნიშნულის გამო მისი მაცდუნებელი არ უნდა გამხდარიყო, გველს არ აეკრძალა მისი გამოცდა. თუკი ევა მცირეულამიან ბრძოლაში გაიმარჯვებდა, ის და ადამი სიცოცხლის ხის ნაყოფს დააგემოვნებდნენ და მარადიულ ცხოვრებას ეზიარებოდნენ. საგანგებოდ ისიც უნდა ითქვას, რომ ძალიან მძიმე იქნებოდა მცნება, თუკი ყველა ხის ნაყოფის აკრძალვი განეკუთვნებოდათ ჩვენს პირველმშობლებს, მაგრამ მითითება მხოლოდ ერთ ხეს უკავშირდებოდა, რაც მას ძლიერ იოლად აღსასრულებელს ხდიდა და, ამასთან, ოდენ დროული მოქმედებდა ეს აკრძალვა, კერძოდ, იმ უამამდე, სანამ უკეთური გამომცდელი არ განერიდებოდა მათ.

იმავე წმინდა ეფრეგმ ასურის სამოთხისადმი მიძღვნილი პიმნების თანახმად, შეუძლებელი იყო გველის შესვლა ედემის ბალში, რადგან არც ცხოველებს და არც ფრინველებს არ ჰქონდათ სამოთხესთან მიახლოების ნებართვა. ევასადმი დასმული მზაკვარი შეკითხვებით მიხვდა ცბიერი, რა იყო სამოთხე და როგორი იყო იგი. ამასთან, იმავდროულად დედაკაცთან ურთიერთობით ისიც გაიგო, რომ პირველმშობელთა ცდუნება აკრძალული ხის ნაყოფის მიღებით იქნებოდა შესაძლებელი.

ნმინდა მაკარი მეგვიძტელის მიხედვით, როდესაც გხედავთ ადამიანს, რომლიც ცხოვრებაც ცოდვებითაა დამზიდული, თუმცა დამაჯერებელი მსჯელობის უნარი გააჩნია, მაშინვე ეშმაკი შეგვიძლია გავიხსენოთ, მაცხოვარს რომ ესაუბრებოდა გამოცდის უამს და წერილმა «უგონიერესი» უწოდა, თუმცა მასში არსებული სიბრძე დამდუცველი აღმოჩნდა, რადგან სხვა არანაირი სათოვებით არ იყო გამშვენებული. ამიტომაც მორწმუნე ადამიანი უნდა ამბობდეს იმას, რასაც ფიქრობს და, ამასთან, სიტყვის შესაბამისად მოქმედია.

ნმინდა ამბროსი მედიოლანელის თანახმად, გველის შურის მიზეზი ადამიანის სილა მაზე აღმოჩნდა. მადლის მიმღებმა ანგელოზმა ვერ შეინარჩუნა რა კეთილობა, შურით განიმსჭვალა ადამიანის მიმართ, რადგან ეს უკანასკნელი, მინის მტკრისაგან გამოძერნილი, სამოთხეში დაამკვიდრა შემოქმედმა. ჭვრეტდა ის უკეთური, რომ თავად აღმატებული ბუნების მფლობელი ყოვლითურთ გაუკეთურდა, მაშინ როდესაც ადამიანი მარადი ულ არსებობას სასოფტდა. დემონი ცოლის გზით შეეცადა ადამის ცდუნებას და პირველ მამასთან მისვლა ვერ გაბედა, რადგან მას ზეციდნ ჰქონდა მცნება ნაუწყები. ამიტომაც სამიზნედ იმავე მცნებაში არა ღმერთის, არამედ ქმრის მიერ განსწავლული ქალი აირჩია წერილში არსადა ნათქვამი, რომ ღმერთი ევას ესაუპრებოდა. სწორედ ამიტომ უნდა დაგვასკვნათ ქალის მიერ მოსტყნილი მცნების კაცისაგან შეწყნარების შესახებ სწავლება.

ნმინდა მიტროპოლიტი ფილარეტის (დროზდოვი) მიხედვით, სხვა ცხოველებთან მიმართებით გველის შესახებ ნარმოდგენილი შეფასება «უგონიერესი» მის ბუნებრივ სრულყოფილებას გვიჩვენებს, რომელსაც იქსო ქრისტეც ნარმოგვიდგენს გონიერების

ნიმუშად (შტრ. მათ. 10.16). დემონი ამგვარ იარაღს მასში სიცრუის დაფარვისა და ადგილი მოქმედების მიზეზით ოჩეეს, რადგან ბუნებრივია, რომ იმას, ვინც უფრო მეტად სანდოა, შედარებით ადგილად მივეკედლებით. ზოგირთს მიაჩინა, რომ გველის საუბარი ევასთან იმით იყო განპირობებული, რომ ადამის მიერ ცხოველთა სამყაროსათვის სახელის განკუთხისას ქალი იქ არ იმყოფებოდა და არც უტყვი არსებების ბუნების სრულყოფილ ცოდნას ფლობდა. ამასთან, აკრძალული ხის შესახებ მცნებაც ქმრისგან ჰქონდა მოსმენილი და, შესაბამისად, ყველა მიზეზის გაერთიანებით უფრო ადგილი იქნებოდა ცდუნებისკენ მისი მიმართვა. გველის მიერ დასმული შეკითხვა საკუთარ თავში სიცრუის მატარებელია, რადგან მცნებაში არ ყოფილა ნათევამი, რომ სამოთხის მკვიდრებს ყველა ხის ნაყოფის ხმევა ეკრძალებოდათ, არამედ მხოლოდ ერთ ხეზე იყო მითითება. კეთილი სახით წარმდგარი დემონს მიერ საკუთარ შეკითხვაში გახმივნებული ტყუილის მიზანი ევას გონებაში საკუთარი ქმრისადმი ეჭვების აღძვრა იყო, რომ ევას ეფიქრა, მართალი უთხრა თუ არა ღვთისაგან განსნავლულმა ადამმა, როდესაც მცნება აუწყა მას.

ԸՆԾԱԾԱ ԾՈՐԾՈՒՅՈ: Զա յոթերա դըճացակմա զցելս: Տամունես զցելս են նայողութէն գիտածութէն, եռող են նայողութէն, բուռա արու Տամունես շնչածութէն, - տէյց ձմերտմա, - ար ժամու մուսգան, ար պ Շեյքօտ մաս, րոմ ար մուցագութէ. Զա յոթերա զցելմա դըճացակմա: Տո զցագութու ար մուցագութու; Ռագցն ուշուա ձմերտմա, րոմ բուռա գլուխաց Շեյքամու մուսգան, ացեինլեցատ տէյցն տաղաւոր և ա ոյնեծու, բուռա ձմերտութէն, Շեմցնոնելնու կցուութուս և ա ծորութուս.

განვართობა: წმინდა ეფრემ ასურის თანახმად, როდესაც დაცემულმა ანგელოზმა გაიგო, რომ ედემის მკვიდრებს ყველა ნაყოფის მიღების უფლება ჰქონდათ გარდა ერთისა, განიზრახა, სირცევილით განმორებოდა იქაურობას, რადგან ხედავდა, რომ საღვთო აკრძალვა იმდენად უმნიშვნელო იყო, თავად არაფრის დაპირება ძალუდა. თუმცა მაშინვე მცნებას მიაპყრო ყურადღება, რომელიც არა მხოლოდ დაგემონებას, არამედ მიახლოებასაც კრძალავდა და მიხვდა ეს უკეთური, რომ ღმერთი აკრძალული ხის მჭვრტელობისგანაც განარიდებდა პირველმშობლებს, რათა მისი სილამაზის დანახვით არ მოხიბლულიყვნენ და გულისსოქმა არ გასჩენდათ.

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, გველმა ამპარტავნების იგივე ხერხი აამოქმედა, როთაც თავად განუდგა ზეციურ წიაღს. სწორედ ამპარტავნების აღსაძრელად აუწყა ევას, რომ აკრძალული ხის ნაყოფის დაგემოვნებისას პირველმშობლები ღმერთები გახდებოდნენ და ადამიანში აღმოშობილმა სიამემ საკუთარი თავისადმი მყისვე მოიტანა უარყოფითი შედეგები.

მნიშვნელოვანი ფილარმონიუმის (დროზდოვი) თანახმად, როდესაც დემონმა იხილა, რომ ევას სიკვდილის შიში აბრკოლებდა საღვთო სიტყვის დარღვევის საქმეში, მყისვე საპირისპირო პირობა შესთავაზა: «არ მოკვდებით!».

ବୀଳୁଣୀସ ଗଢ଼େଗ୍ରତା ଆଶ୍ରିତ, ସନ୍ମରାଜ ସିକ୍ଷୟଦିଲ୍ଲୀସ ବ୍ସୋଙ୍ଗିସ ଆୟତିଲ୍ଲେବ୍ଲାଂଡା ଗାନ୍ଦାଥ-ଲ୍ଲାର୍ଡା ଲମ୍ବରିତମା ମଧ୍ୟ ଶ୍ୱାଲୋର ଦାଲାଫ, ରିତାତ୍ପ ମିନ୍ଦର୍ବିଳିସ ଅଲସର୍ଯ୍ୟାଲେବ୍ଡା ଐନ୍ଦ୍ରିବୋର୍ଦା ଶ୍ୱେଶାଦଲ୍ଲେବ୍ୟୁଲ୍ଲି ସାମନ୍ତବେଶି. ଶ୍ୱେଶାଦାମିସାଫ, ତ୍ୟାଗ ତିର୍ଯ୍ୟକେଲିମିଶନ୍ଦଲ୍ଲେବ୍ସ ପ୍ରାଦ୍ୟବିତ ଧାତ୍ରେମାମଧ୍ୟ ମାତି ବ୍ୟନ୍ଦବୀଶିସାତ୍ତ୍ଵିସ ଉପର୍ବ ମୋକ୍ଷ୍ୟଦାନବାଚ୍ୟ ଉନ୍ନଦା ଗ୍ରେଇରାତ, ରାମଦେବ ଆୟତିଲ୍ଲେବ୍ୟୁଲ୍ଲି ମିମାଙ୍ଗ୍ସ ଶ୍ୱାଲୋରି ସାଜ୍ମିସ ଅଲସର୍ଯ୍ୟାଲେବ୍ଡା ବ୍ସେନ୍ଦ୍ରବ୍ୟୁଲ୍ଲି ତାତିକ୍ଷେତ୍ରିସ ମାତ୍ରାର୍ଥିବ୍ୟୁଲ୍ଲି କ୍ରାତ୍ରିବର୍ନିଓରିବୀତର୍କିସ.

ნეინდა ცორილი: და იხილა დედაკაცმა, რომ კარგია ხე საჭმელად და რომ საამოა თვალთათვის სახილველად და მშვენიერა შესაცნობად, და აიღო მისი ნაყოფი და შეჭამა; და მისცა თან თავის ქმარსაც, და შეჭამეს. და აეხილა თვალები ორივეს, და შეიცნეს, რომ შიშულები იყვნენ, და შეკერეს ლელვის ფოთლები და გაიკეთეს თავისთვის შემოსარტყმელი.

განვითარობა: ეფურეტ ასურის თანახმად, ევა ადამზე უწინარეს დაეშურა აკრძალული ნაყოფის დაგემოვნებას, რადგან სურდა იმაზე ებატონა, ვინც აღრე მის მთავრად იყო დადგენილი. ევამ განიზრახა, ღმრთებით იმაზე უზუცესი გამხდარიყო, ვისზე უმცროსიც კაცების შესაბამისად შეიქმნა.

წმინდა იოანე იქრიპტოს მიხედვით, პირველმშობელთა შეცოდებამ მათ საღვთო

დიდება განაშორა, რითაც თავდაპირველად იყენებ შემოსილნი, და მაღლისაგან გან-
ძარცულობამ სიშიშვლე განაცდევინა. აკრძალული ხე განა იმიტომ იწოდება კეთილისა
და ბოროტის შეცნობის ხედ, რომ მისი ნაყოფის დაგემოვნების უნინარეს არ იცოდა
ადამია, რა არის კარგი და რა ცუდი, რადგან ცხოველებისთვის დარქმეული სახელები

ცხადყოფს მისი შემეცნების სიღრმესა და განსაკუთრებულობას. აკრძალულმა ხის ნაყოფმა არათუ ცოდნის სიღრმე შესძინა ჩვენს პირველმშობლებს, არამედ ბოროტების მიმღებნი გახადა ისინი და შინაგანი, საქმისმიერი გამოცდილებით შეიქმნენ შემცნობელნი კეთილისა და ბოროტისა, მაშინ როდესაც მარტივად იყო შესაძლებელი, აღსრულების გარეშე გაერჩიათ მათ კარგი და ცუდი, მსგავსად დაუცემელი ანგელოზებისა. მაგალითად, როგორც სახიერა ადამიანი საცხოვრებლად გადასცემს ვინმეს საკუთარ დიდსა და უმშვერიერს სახლს, თუმცა ამისთვის ძალიან მცირედ, სიმბოლურ გადასახადს აწესებს, რითაც, ერთი მხრივ, ამ სახლზე საკუთარ უფლებებს ინარჩუნებს, ხოლო მეორე მხრივ, სახლში შეშვებულს შეახსენებს, რომ ის კი არა მფლობელი, არამედ სხვისი მოწყალებითა და სიკეთით სარგბლობს, ასევე ღმერთმა მთელი სამყარო გადასცა, სამოთხეში შეიყვანა და უმცირესი მცნება განუწესა ადამს, რითაც ჩვენს პირველმამას შესაძლებლობა ჰქონდა, მისი სამკვიდრო ადგილი ბუნებით საკუთრებად არ მიეჩნა და თავისი თავი ყოვლიერების მფლობელად არ შეერაცხა. ამასთან, ურჩიბის შემთხვევაში საჯელიც განუწესა, რომ სსომებოდა ადამიანს ღვთის მეუფების ქვეშ მყოფობა. წერილი გვამცნობს, რომ შეცოდების შედეგად ოვალები აეხილათ მათ. რა თქმა უნდა, ფიზიკური გაგებით შეცოდებამდეც თვალხილულნი იყვნენ ისინი, თუმცა ზემორე უწყება ცოდვასთან არსობრივ კავშირს გვიჩვენებს, ე. ი. ისინი, ვინც თეორიულად იცოდა ცოდვის რაობა (რაც სრულიად საკმარისი იყო უკითხურებაზე უარის სათმებად), პრატჩტიკულად ხდებიან მისი შემმაგნიტელნი.

▶ **გეცხოვ გვირდზე**

► მარვე გვარდილან

► **მერვე გვერდიდან** მიზეზი ჰქონდა - სიამეთმოყვარება და დიდებისმოყვარება. სიამეთმოყვარების ვნებას აკრძალული ხის მშენებელის განცდა წარმოაჩენს, ჩვენს პირველმშობლებში რომ აღმოიშვა, ხოლო დიდებისმოყვარებას კეთილისა და ბოროტის განმრჩეველობის სურვილი.

ნეტარი ავგუსტინებს მიხედვით, როგორც კი საუფლო მცნების დარღვევა აღსრულა მყისვე საღვთო მადლისაგან განშორებულებმა საკუთარი სიშიშვლე დაიმორცხვეს. ამით ტომაც ლელვის ფოთლებით, შესაძლო, რაც კი პირველი მოხვდათ ხელი შეცბუნებისას ისინი სასირცხო ორგანოებს იფარავენ, ადრეც ასეთივე ორგანოები რომ იყო, თუმცა არასასირცხო. მათ საკუთარ მექანიზმები სხეულში ახალი მოძრაობა იგრძნეს, თითქოსდა პირდაპირი შურისძიება დაუმორჩილებლობის მიზეზით. გარევნილი სიამოვნების განცდილი და ლვთისადმი მსახურების უგულიერესოფუთით სულმა დაკარგა უწინარეს მისდამი არ სებული მორჩილება სხეულისა. ვინაიდან მან (სულმა) საკუთარი ნებელობით მიატოვა უდიადესი ღმერთი, ველარ შეძლო, თავისსავე ნებისთვის დაემორჩილებინა უფრო დაბლა მდგომი მსახური (ე. ი. სხეული) და არაფრით ძალუძა, დაქვემდებარებაში ჰყოლოდ იგი, რასაც მარადის განახორციელებდა, თუკი ლვთის მორჩილებაში დარჩებოდა თავად.

ნეტარი თეოდორიტე კვირელის უწყებით, პატარა ბავშვები, მიუხედავად მათი სხეულის სიშიშვლისა, არ არიან დარცხვენილნი, რადგან სამოსის გარეშე ყოფნა მათში არა-ნაირ განცდებს არ აღძრავს, მაგრამ იმავე მდგომარეობას განსხვავებულად განიცდის ზრდასრული და რაც ბავშვისთვის ადვილი და ბუნებრივია, სრულიად შეუძლებელი ზედება დიდისათვის. ასევე, ადამი და ევა, ცოდვამდე შეძლებად მყოფი, თუმცა სულიერად ბავშვები უბრალოებისა და წმინდა გრძნობების მქონენი, სირცხვილის უმეცარნი იყვნენ მაგრამ მცნების დარღვევისთანავე წმინდა გრძნობები ვნებიანობით შეიცვალა და მათში სირცხვილის განცდა შემოვიდა.

მაღალლირსი ბერდას მითითებით, ლევის ხე თავისი სიტყობობის მიზეზით ცოდვის-ადმი მიდრეკის სიმბოლოა, ადამიანის მოვლგმას სიამეს რომ ანიჭებს.

ნმინდა მიტროპოლიტი ფილარეტის (დროშზღვოვა) მიხედვით, წერილში ნახსენები სიჟიშვლე თრმაგი, ერთი მხრივ, შინაგანი და, მეორე მხრივ, გარეგანი, - მნიშვნელობით შეიძლება გვესმოდეს. შინაგანი სიჟიშვლე მაღლისგან განაცარცვას გულისხმობს, უფლისადმი შემს მიზეზით ღვთის პრისაგან დამალვის სურვილი რომ მოჰყვა, ხოლო გარე განი სიჟიშვლის სირცხვილმა სამოსის გამოყენების აუცილებლობა განაპირობა.

განვითარება: წმინდა ეფრემ ასურის თანახმად, არა მხოლოდ მრავლდა მთმენელობით, მაგრამ სურდა დამერთს, რომ ჩვენს პირველშობლებს შესწეოდა, არამედ საკუთარი „ტერჯების“ ხმითაც იზრახავდა მათ დახმარებას. მისი „ტერჯების“ მსუბუქი ხმოვანება იქ მიზეზით გამოიცემოდა, რომ მოსმენილ ბეგერებს ადამი და ეკა სინანულისათვის მოემზადებინა და მათკენ მავალისათვის შენდობა ეთხოვათ. როდესაც არც საუფლო დაყოვნებამ და არც უზენაესის მოსვლის უწინარეს მოსმენილმა ხმამ არ განამზადა ისინი, რომ შემოქმედის წინაშე პატივების სურვილით გულშემუსვრილნი წარმდგარიყვნენ, მაშინ დამერთო საკუთარ „ტერჯთა“ ხმოვანებას თავისი ბაგებიდან აღმოთქმულ სიტყვებს შეამატებს «ადამ, სად ხარ?». თუმცა ნაცვლად ცოდვათა შენდობის თხოვნისა, სანამ აღსრულებული დაანაბაულის გამო დამსახურებული სასჯელი განენერსებოდა ჩვენს პირველმამას ადამმა მიუგო: „შენი ხმა მომესმა ბალში და შემზინდა, შეშველი რომ ვარ, და დავიძალე“ შეკითხვა: „ადამ, სად ხარ?“ გულისხმობს შემდეგს: ადამ, რა მდგომარეობაში ხარ? ნუთუ უკეთურის დაანაპირებისამებრ დმერთობის პატივი განიკუთვნე? მაშინ, დათის მცნების დარღვევით როგორი გახდი - უკვდავი თუ მოკვდავი? გარდა ზემოთქმულისა დათის გამოჩენის უწინარეს სამოთხეში მოსმენილი უფლის „ტერჯთა“ ხმა, ადამის განკითხვას რომ მოასწავებდა, იოანე ნათლისმცემლის ქადაგების წინასახეა, რომელიც წინ უძლოდა ძე ღმერთის გამოჩენას.

წმინდა აპბროსი მედიოლანულის უწყებით, შეკითხვა: «ადამ, სად ხარ?», გულისხმობს არა ადგილის განსაზღვრას, თუ სამოთხის რომელ მხარეს იმყოფება ადამი, არამედ დაინტერესებას, რა მდგომარეობაშია ის საღვთო მცნების დარღვევის შემდეგ და ზოგადად ასე მიმართავს შემოქმედი ყველა ადამიანს, რადგან, თუკი მყისვე და კინკრეტული მითითებული ბით იქნებოდა ცოდვაში მხილებული ჩვენი პირველმამა, მას, შესაძლო, არა გულწრფელად, არამედ შიშის მიზეზით შეენანა. ღმერთი კი ადამიანის სამხილებლად ისეთ ფორმას მიმართავს, რითაც ჩვენს თავისუფალ ნებას აძლევს მოქმედების შესაძლებლობას და იძულების გარეშე ელოდება პიროვნების არჩევანს.

ნმინდა ოთავე იქრობილის მითითებით, თხრობა, თუ როგორ მიუახლოვდა უფალი ადამსა და ევას, რა თქმა უნდა, პირდაპირ არ უნდა გვესმოდეს, რადგან შეუძლებელია კველგანმყოფი მიღი-მოდიოდეს. აღნიშნული ცნობა იმას გულისხმობს, რომ ხსენებულ ჟამს უზენაესა განსაკუთრებული ძალმოსილებით განუცხადა პირველმშობლებს საკუთარი თავი. შექმნისთანავე შემოქმედმა სინდისი ჩადო ადამიანი, რომელიც არაჯეროვანი საქციელის ჟამს მუდმივად დიდი ხმით ლალადებს და თუნდაც სხვათა თვალთაგნ დაფარულად აღსრულოს უკეთურება, სინდისი, როგორც მიუკერძოებელი მსაჯული, ყველა შემთხვევაში ამხელს უკეთურებას. ასე მოხდა ადამის შეცოდების ჟამსაც და სინაულის მაგივრად ჩვენი პირველმამა დამალვას შეეცადა. ამასთან, უგუნურების სიღრმე განგაციორებს მკითხველს, რადგან ქმნილება ყველგანმყოფ შემოქმედს ხების უკან ემალება. ღმერთმა განა დიდი ხნით დააყოვნა, არამედ ბოროტების აღსრულების შემდეგ მალევე განუცხადა ადამსა და ევას, რომ გარდასულ ჟამთა სიმრავლის გამო სულიერ ჭრილობის არ გაორმავაზოლიყო და მყისიერად მოიხდინა მათი გან ურჩიბა.

ნმინდა სვიმეონ ახალი ლუთისმეტყველის მიხედვით, მცნების დარღვევის შედეგად გონიერადაბნელებულ ადამს ეგონა, რომ ღმერთმა არ უწყოდა მისი დანაშაულის შესახებ ის ხვდებოდა, რომ რაღაც, რასაც უწინარეს ფლობდა, დაკარგა და დაკარგულის დასაბრუნებლად ცბიერი გეგმა დასახა. ჩევენი პირველმამა საკუთარ თავს ასე შეაგონებდა მოდი, საუფლო შეკითხვაზე: ადამ, სად ხარ? ვეტყვია: შიშველი ვარ. ის კი, არ ეცოლინება რა აღნიშნულის მიზეზი, კვლაც შემეკითხება: რატომ ხარ შიშველი? მე უჟასუხებ: არ ვიცი! ასე მოვატყუებ მას და კვლაც მივიღებ ძველ საფარველს და თუ დაკარგული ვერ დაგიძრუნე, სამოთხეს მაინც შევინარჩუნებ. ადამი ცოდვის აღიარების შემთხვევაში სა მოთხეში დარჩებოდა და უზენაესის წინაშე წარმოთქმული ერთი სიტყვით: შევცოდე! გარდაცვალების შემდეგ ჯოჯონეთში გატარებულ ყველა წელს გამოისყიდდა.

ნეტარი ავგუსტინეს თანახმად, ლიერთის მოსვლის დროდ წერილში სალამო ჟამია

განსაზღვრული და ადამისათვის უკვე აღარ ნათობდა მზის სხივები

ნეტარი იქრონიმეს მიხედვით, უზენაესის მიახლება საღმოს სიმბოლურად იმას მანიშნებს, რომ ჩვენა პირველმშობლები სულიერი სინათლის გარეშე დარჩნენ და წყვდიადი განიკუთვნეს.

წმინდა მიტროპოლიტი ფილარეტის (დროშდოვი) უწყებით, წერილის მითითება, როგორ მიუახლოვდა ღმერთი ადამსა და ევას, კაცობრიობის ერთგვარი მომზადებაა განკაცების გზით მისი მოსვლის შესახებ. გამოცხადების ფორმა ბიბლიაში არ დაკონკრეტულა, თუმცა ერთი რამის თქმა შეიძლება დაზუსტებით: სამოთხეში ჩენილი უფალი ეს ღმერთია და ის ადამიანური გარეგნობით იხილეს პირველშობლებმა.

ნიმუში: და უთხრა მას: ვინ გითხოვ შენ, რომ შიშველი ხარ, თუ არ ჭირდები ხიდან, რომელზეც გიბრძანე შენ, რომ მხოლოდ მისგან არ გეჭამა? და თქვა ადამმა: დედაკაცმა, რომელიც მომეცი მე, მან მომცა მე ხიდან, და ვჭამე.

განვითარება: წმინდა იოანე ოქროპირის თანახმად, ღმერთს შეეძლო მყისიერად დაესავა შემცოდე და არ დაეხარჯა დრო მასთან დიალოგის გასამართად, მაგრამ რაოდენ კაცთმოყვარეობა განიჭვრიტება უფლისმიერ მოპყრობაში, როდესაც ამდენ შეკითხვას და თანაც ყველება-შუქარის გარეშე დაუსვამს ჩვენს პირველმამას მისი სინაწლისაკენ მოქცევის მიზნით.

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, ადამის პასუხი ცბილებით იყო საგუსტ და ნაცვლად საკუთარი თავის განკითხვისა, ცოდვა ევას გადაბრალა, თუმცა ამგვარი ქმედებით დამნაშავედ მისთვის მეორე ნახევრის მბოძებელი ღმერთი გამოიყვანა, რადგან ის კი არ უთხრა: «ქალმა მაცდუნაო», არამედ - «შენ რომ ქალი მომეცი, ნაყოფი იმან მომცაო».

დედაქაცმა: გველმა მაცდუნა მე, და ვჭამე. და უთხრა უფალმა ღმერთმა გველს: რადგან გააკეთე ეს, წყელი იყავ შენ ქვეყნის ყველა პირუტყვს შორის და ყველა მხეცს შორის; შენს მკერდზე და მუცელზე ივლი და მინას შეჭამ შენი ცხოვრების ყოველ დღეს. და მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაქაცს შორის, და შენ თესლსა და მის თესლს შორის; იგი ჩაუსაფრდება შენს თავს, და შენ ჩაუსაფრდები მის ტერზს.

განვართობა: უპირველესად შევნიშნავთ, რომ ზემოღამონბებული ბიბლიური ფრაზის დამასრულებელი წინადადება განსხვავებული სახითაა წარმოდგენილი წმინდა წერილის ეპრაულსა და ბერძნულებოვან ტექსტებში. კერძოდ, მასორეტული შემდეგს გვამცნობს: «ის თავს გიჭეჭყავდეს, შენ კი ქუსლს უგესლავდე!», ხოლო ბერძნული: «ის შენს თავს ჩაუსაფრდება და შენ მის ქუსლს ჩაუსაფრდები» (შდრ. ბერძ. ამაზრის თეორის კეფალაზე, რა თუ თეორის ამთხ პტერონაზე; შდრ. ძვ. ქართული: «იგი შენსა უმზირდეს თავსა და შენ უმზირდე მისსა ბრჭალსა»).

ძალა შეისვერ სასჯელის მესახებ ეუხეა.

ხმისძა აპტორის შედიოლახელის შიხედვით, გველძი სიბრძოლურად სხეულებრივი სია-
მენი მოიაზრება, ქალში - ჩვენი მგრძნობელობა, ხოლო ადამი გონებას განასახიერებს. სიამეს მგრძნობელობა მოჰყავს მოქმედებაში, ხოლო ეს უკანასკნელი გონებას გადას-
ცემს მასზე დაუფლებულ ვწებას. ამდენად, სიამე ცოდვის დასაბამია. ამიტომაც არ უნდა
გაგივიკირდეს, რომ საღვთო მსჯავრით პირველად გველი განიკითხა, მეორედ - დედაკაცი
და მესამედ - ადამი. განსჯის რიგითობა შეცოდების რიგითობას თანაშეეზომება, რადგან
სიამე თავიდან გრძნობას იმონებს, გრძნობა კი გონებას. გველი, როგორც სიამის სიმბო-
ლო, მისკენ მიმართული სასჯელიდანაც შეიმეცნება, რადგან მას განეკუთვნა სიტყვები:
«მკერდსა და მუცელზე იხოხე და მტკერი ჭამე მთელი სიცოცხლე». განა ის არ დახორავს
მუცლით, ვინც სასისა და მუცლის მოთხოვნილებით ცხოვრობს? ვინც ქვენას იზრაბ-
ავს და ხორციელით დამძიმებული მიწისკენ არის დადრეკილი? ამიტომაც სამართლიანად
მიმართა უფალმა სიამეს: «... მუცელზე იხოხე და მტკერი ჭამე მთელი სიცოცხლე».

ნეტარი ავგუსტინეს უწყებით, საუცლო მითითება, რომ გველმა მკერდისა და მუცელ-ზე უნდა იხოხოს, სიმბოლურადაც გაიგძა. კერძოდ, გველი დემონს განასახიერებს და სწორებ ის მიმოღის მკერდითა და მუცლით. მკერდი კი ამპარტავნების სიმბოლოა, რადგან მკერდში მეუფებს მზაობრული სულის ბობოქრიბა; ხოლო მუცელი სახეობრივად სხვ-ულებრივი მოთხოვნილებებია, რადგან სხეულის სხენებული ნაწილი აღიქმება, როგორც მეტად ჭარბი სურვილების მქონე და სწორედ მკერდისა და მუცლის საშუალებით ეკვეთება დემონი იმათ, ვის ცდუნებასაც იზრახავს.

წმინდა კესარიოს არელატელის მითითებით, გველისთვის მიცემული მითითება დე-

მონისთვის განკუთვნილი სიტყვებია და მინის მტკვერს ჭამს ის. მაგრამ ნუთუ ეშმაკი იმ მტკრით იკვებება, ჩვენ რომ ფეხბით ვთრგუნავთ? რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ხსენებულ მინის მტკვრში ქვეყნიურის, ვნებინანისა და მინიერისკენ მიდრეკილი ადამიანები მოაზრებიან, რომლებიც მინას ემსახურებიან და მთელი თავინთი სასოფა ქვენათა მიმართ აქვთ დაფუძნებული. ასეთებს „ჭამს“ დემონ და სამყაროს დასაბამიდანვე უკეთური არჩევანის კვალობაზე დაცემულ ანგელოზს განუკუთვნეს მათ საკუთარი თავი.

ნმინდა ორანე ოქროპირის თანახმად, შესაძლოა, ვინგებ იკითხოს: თუკი დემონმა აც-დუნა ჩვენი პირველმშობლები, წყველა გველს რატომ განეკუთვნა? როგორც შვილთ-მოყვარე მამა, საკუთარი ძის მევლელის დასჯისას ამ უკანასკნელის მიერ მევლელის აღსრულებისას გამოყენებულ მახვილსაც დაუნდობლად შემუსრავს, მსგავსადვე მოიქცა ყოვლადმონწყალე ღმერთი, რომ ჩვენ ხილული გველის მაგალითითაც გვახსოვდეს, რო-გორი უპატიობა განეკუთვნა მას. და თუკი გველი აღმოჩნდა ამგვარ მდგომარეობაში, რაოდნე უფრო დიდ სასჯელს დაეჭვემდებარება ცუდვის შემოქმედი ექმაკი, ვისთვისაც წაუტორობო საუკუნო გაუხსოია გამზადებული.

ნმინდა მიტროპოლიტი ფილარეტის (დროზე დოვი) მიხედვით, გველისათვის განკუთვნილი სიტყვები მუცლით მინაზე ხოხვის შესახებ ექმაკის ამპარტავნების შემუსვრას გულისხმობს.

ნმინდა ორინეოს ლიკონელის უწყებით, უფლის სიტყვებში, რომ დედაკაცისაგან შობილი შემუსრავს გველს, მესიანური წინასწარმეტყველებაა გაცხადებული. საქმე ისაა, რომ მტერი უსამართლოდ იქნებოდა ძლეული, თუკი მისი მძლეველი დედაკაცისაგან შობილი არ გახდებოდა, რადგან თავდაპირველად სწორედ ქალის მიერ მოიპოვა მან მფლობელობა ადამიანზე. ამიტომაც უფალი ძე კაცისად აღმარებლობს საკუთარ თავს, თავისშივე აღადგენს რა პირველქმნილ ადამიანს, რომლისგანაც დასაბამი მიეცა დედაკაცს. ამდენად, ადამიანის - ადამის - ძლევის გზით სიკვდილში შთაკვეთებული ჩვენი მოდგრა

କ୍ଷାନ୍ତରାଳୀ ଧାରଣାଳୀ ସାମଶାଖାଳୀ

„- ეკლესიაში რომ შევდივართ, იქ
აუცილებლად გალობა უნდა ისმოდეს“, -
ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში ქართული
გალობის უდიდესი მოამბავე,
ბატონი ანზორ ერქომაიშვილი
და იქვე ამატებს, - „ეკლესიებში ქართული
გალობა უნდა აღდგეს. მაპატიონი,
მაგრამ ბევრი არატრადიციულ
საგალობლებს მღერის, დარღვეულია
წესები და ფორმა. მრავალსაუკუნოვანი
ქართული საეკლესიო-სამგალობლო
ტრადიციების და ისტორიის მქონე
ხალხი სხვისას ვგალობთ...“ არადა, წმი-
ოს საქართველოს (+532)

და საია გაიძიებდოლის (+522
ნ.) ანდერძის თანახმად, ქა-
რთველები VI საუკუნის და-
საწყისში ნირვა-ლოცვას,
გალობითურთ, მშობლიურ
ენაზე ასრულებდნენ. VIII სა-
უკუნიდან ქართველმა მო-
ლვანეებმა გაიზიარეს ჰი-
მოგრაფების, - იოანე დამ-
ასკელისა და კოზმან იერუ-
სალიმელის მიერ ჩამოყალი-
ბებული თვისობრივად ახალი
საგალობო სისტემა.

ქართული საეკლესიო გა-
ლობის განვითარებამ საბა-
ნმიდიდან გადაინაცვლა
ტაო-კლარჯეთის სამონას-
ტრო სკოლებში. IX საუკუ-

ნის უდიდესმა საეკლესიო მოღვაწემ გრიგოლ ხანცოთელმა შეადგინა, შეოხზა საგალობელთა კრებული, „იადგარი“, რომელიც იყო „წელითა მისითა დაწერილი, სულისა მიერ წმიდისა“. გიორგი მერჩულე წერს, რომ წმიდა გრიგოლ ხანცოთელმა ყმანვილობაშივე „მსწრაფლ... დაისწავლა დავითი და წმითა სასწავლელი სწავლა საეკლესიო“.

ХI საუკუნიდან ქართული ქრისტიანული ლიტერატურისა და გალობრივი კერაა ათონის ივერთა მონასტერი. განსაკუთრებულია გიორგი მთაწმიდელის ღვანლი. როგორც ეფრემ მცირე აღნიშნავს, მსგავსი სისრულით „თოუენი“ ბერძნულ ენაზეც არ არსებობდა. წმინდა გიორგი ათონელი არა მხოლოდ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა, არამედ თავად ქმნიდა ორიგინალურ ტექსტებს და კილობს.

XIV-XVI საუკუნეებში ქართული საგალობრივი კულტურის განვითარება, მძიმე ისტორიული ვითარების გამო, შეფერხდა. თუმცა ამით ძირძველი ტრადიციების მემკვიდრეობითობა არ მოშლილა.

XIX საუკუნეში, ეგზარქოსობის
პერიოდში, როდესაც საქართველოს
ეკლესიის ავტოკეფალია ანტიკანონი-
კური აქტით გაუქმდა, საგალობო სკო-
ლების რიცხვი საგრძნობლად შემცირ-
და და სასულიერო მუსიკის ძირძველ
ტრადიციებს აღმოფხვრის საშიშროება
დაწყობილია.

იმერულ-გურული კილოს საგალო-ბლების დიდი ნაწილი ჩაიწერეს იმერე-თის ეპისკოპოსის, წმიდა გაბრიელის (ქიქოძის) მიერ მონვეულმა საუკეთესო მგალობლებმა. მათ ხელმძღვანელობ-და გელათის მონასტერში აღზრდილი, სახელგანთქმული ლოტბარი, ანტონ დუმბაძე. ანტონ დუმბაძე აგრეთვე მოღვაწეობდა ათონის ქართველთა სავანეში მგალობელთა გუნდის ლოტ-ბართ.

გალობის ტრადიციების გადარჩენისათვის XIX-XX საუკუნეების არაერთმა მოღვაწემ - ნინდა ეკვ-

თიმებ (კურესელიძე), ფილიმონ ქორიძემ, დევანოზმა რაუდენ ხუნდაძემ მლვდელ-მონოზონმა ნესტორ კონტრიძემ, მელქისედეკ ნაკაშიძემ და სხვებმა დიდი შრომა გასწიოს.

ტრადიციული ქართული გალობის აღმოჩენება, 1988 წლიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხემლის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნიკარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაიწყო „ანჩისხატის“ მგარებელთა გუნდმა ბატონ მალხაზ ერ-

ბატონ ანზორ ერქვიმაიშვილის ხელმძღვანელობით და პარალელურად ვსწავლობდი თბილისის სახელწიფო კონსერვატორიის ექსპერიმენტულ ათწლეულში. დამთავრების შემდეგ ჩავირიცხებ თბილისის კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ფაკულტეტი: ხალხური გუნდის ლოტბარი – საეკლესიო გუნდის რეგენტი, ბატონ ანზორ ერქვიმაიშვილის სახელოსნო.

მეორე კურსზე ვიყავით, ნარიყალა
წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტა-
ძარში რომ დავიწყეთ გალობა, მაგრა

თის და შემოქმედის სკოლებს, ქართლ-კახურს, დღიდან გუნდის დაარსებისა ყოველთვის გვაქვს აქტივობები, 2018-2019 წელს სიონის საკათედრო ტაძარში ყოვლადწმიდა ლოთისმშობლის პარაკლისი გადავიხადეთ გალობით. შემდეგ ქართლ-კახური საგალოობლებით წირვაზე ვიგალობეთ.

პანდემიის პერიოდში გალობის შესწავლა არ შეგვინყვეტია. ინტერნეტით „ონ ლაინ“ გაკვეთილებს ვატარებდით და საკმაოდ დიდი მასალა გავიარეთ. ყოველწლიურად, სასწავლო წლის ბოლოს; აქტუალური შემთხვევა

ლოს, ვიამთავთ ძეგაჯა-
ამებელ საღამოს. ნალკის
მამათა მონასტრის წევრები
არიან თბილისის სასული-
ერო აკადემიის კურსდამ-
თავრებულები და მუშაობენ
საეკლესიო საგალობლების
აღდგენაზე, ამას ნინათ
სწორედ მათ მიერ მომზადე-
ბული კრებულიდან შეკას-
რულეთ „მოგვიხსენის“
ძლისპირები. თავად მგა-
ლობლებიც არიან და ერ-
თად ვიგალობეთ.

თბილისის სასულიერო
აკადემიის გუნდს შემაჯ-
ამებელ საღამოზე წმინდა
გიორგის ტროპარი რომ

უნდა ეგალობა, ლექსომ წმინდა ექვთიმე
აღმსარებლის (კერძესლიდე) ჩანაწერი
გაიხსენა: — მაქსიმე შარაძე შევიდა ქა-
შუეთის ტაძარში წმინდა გიორგობის
დღეს, 23 ნოემბერს, „იქ გალობდა მგა-

ლობელი მელქისედეკ ნაკაშიძე თავისი გუნდით, მაქსიმეს ძალიან მოეწონა მათი გალობა! სხვათა შორის იგალობეს იმათ: წმინდა გორგაის ტროპარი: „ტყვე-თა განმათავისუფლებელო“, ამ გალო-ბის თრთლი მაძიების აღმო აუჩილებოდა

ბის დროს მაქსიძეს გული აუზვილდა,
ტირილი დაიწყო და ამბობდა: თურმე რა
ტკბილი და კარგი გალობები ყოფილაონ!.
ამთა თავშოშმინა და ა კოსტივია ან

გული დაიძომინა, და ეკლესიიდგან
რომ მგალობლები გამოვიდნენ, მივიდა
მასამდე, ამონანათან მოვძიროდა; წა-

მაკინტოშ, გამოეცხაურა მელქისედეკ სა-
აშეძლე; მა სობორუ მდინარე კარია ია-

კაძირდეს და სთოვეს: თქვენი კარგი გალობა ჩვენც გაგვიზიარე და გვასწავლე ჩვენცაო. მელქისედეკი დაპირდა ბინაზე მისვლას და გალობის სწავლის დაწყებას – ეს იყო 1885 წელი. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ მადლობა შევწიროთ ყველა იმ ადამიანს, ვინც ქართული საგალოობლები შემოგვინახა – წმინდა ექვთიმეს (კერესელიძე), მაქსიმე შარაძეს და შევასრულებთ წმინდა გიორგის ტრიპარს, შემოქმედის სკოლის.

„შენ ხარ ვენახის“ საგალობელს
კი თბილისის სასულიერო აკადემიის
ლიტერატურის კათედრის ხელმძღვანე-
ლი, არქიდიდაკონი დემეტრე დავითაშ-
ვილი ამგვარად გამოიხმაურა: - გან-
საკუთრებული სიხარულის დღე გვაჯეს
დღეს, იმიტომ რომ დღეს, აქ, ჩვენი
აზოვმიის კათლაბეჭი. მომსწრუნი ავახ-

კავდრიობის კულტურით, მომათავისური გეცე-
ლით გაუღერებულიყო, ჩვენ წინაპართა
სახმო იოგების შთამომავალთა, სახმო
იოგების ჟღერადობა. ცოტა როგორი წი-
ნადადება ვთქვი, მაგრამ, ვფიქრობ, გას-
აგები.

ძველ ქართულ საგალობლებთან
პირველი შეხება დიდი ხნის წინ მო-
მიხდა, როდესაც დაახლოებით 12 წლის
ვიყავი. თანაკლასელის მამა ანსამბლ
„რუსთავში“ მღეროდა და მთელი კლასი
ისე წაგვიყვანეს ფილარმონიაში, არც



სასულიერო აკადემიის მგალობელთა გუნდი

